ოქმი:**ო63. 63243482**
თარიღი:**13/12/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საფინანსო -საბიუჯეტო საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N16

ქ. სამტრედია 22 ნოემბერი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 22 ნოემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მერაბ უღრელიძის თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე,გოჩა არველაძე, ჯონი ახობაძე, ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, აკაკი მინაშვილი,გივი ჯულაყიძე, ვაჟა სტურუა.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს ხელმძღვანელი ვეფხვია ნადირაძე, ბუღალტერი ენძელა პატარიძე.

დღის წესრიგი:

1.,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის

წევრთა (9) ხმით დამტკიცებულია წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის N62-622432746 22/11/2024წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335918 განკარგულებაში ცვლილების შეტანას. 2024 წლის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების გაზრდას 50,0 ათ. ლარით, კერძოდ ხარჯებში საქონელი და მომსახურების (მივლინება ქვეყნის გარეთ)ხარჯის 50,0 ათ.ლარით.

ზემოთ აღნიშნული გამოწვეულია ინდოეთში სპექტაკლი ,,12 განრისხებული მამაკაცი“-ს მოსალოდნელი გასტროლით. აღნიშნულ თანხას აფინანსებს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

კომიისიი წევრებმა იმსჯელა და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 9 (ცხრა) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: / ლია ყურულაშვილი/

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა
კომისია-საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი